ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. "ევრო ბიზნეს ჯგუფი" (ტელ: 571 34 10 55, 551 53 42 40)

საფუძველი: 23.12.13 წ. 12/13357418-16

მისამართი: სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომის დასახლებაში, პირველ მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი №2

საკადასტრო კოდი: №01/10/06/014/088

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 17.10.2012 წ. №394750 (AR 175110 17.10.2012 წ.)

ფუნქციური დანიშნულება: მშენებარე სამედიცინო კლინიკა (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (03.02.13) დადგინდა:

წინა ფასადზე "2-3" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი და აღნიშნული ვიტრაჟი გადმოწეულია წინ. ±0.00 ნიშნულის ქვევით არ არის მოწყობილი მოაჯირები. პანდუსზე არ არის მოწყობილი საფეხურები.

უკანა ფასადზე "2-1" მონაკვეთში არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები ლითონის კიბე.

გვერდით ფასადზე "C-B" მონაკვეთში ფრამუგები არ არის შევსებული პროექტში ნაჩვენები გაუმჭვირვალე მინით. "C-C" და "B-B" ღერძებზე სართულებზე ფრამუგების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები.

გვერდით ფასადებზე კიბის ქვეშ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი.

ფასადებზე ზოგიერთ მონაკვეთში შეცვლილია დეკორატიული ხაზები. რენდერის მიხედვით ფანჯრებს შორის კედელზე არ არის მოწყობილი განსხვავებული ფაქტურა. დამატებულია წყალმიმღები მილები.

ცოკოლის სართულზე პანდუსთან გაზრდილია კედლის სისქე, დამატებულია ერთი სვეტი და აღნიშნულ კედელში ერთი სვეტი გადაადგილებულია.

შენობის შიგნით "D-C" მონაკვეთში მონაკვეთში კიბის ქვეშ განთავსებულია რიგელი. "3-2" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ლიფტი. ნახაზებზე ბეტონის და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებულია კონტურით. შიდა კიბეზე შეცვლილია საფეხურები. "2-3" მონაკვეთში კიბის უჯრედის თავზე არ არის მოწყობილი პროექტში ნაჩვენები ლამინირებული მინა-პაკეტით გადახურვა.

+9.90 ნიშნულზე "A-B" მონაკვეთში არ არის მოწყობილი სახურავზე ასასვლელი კიბე. +13.20 ნიშნულზე კუთხეებთან შეცვლილია მოაჯირები. აღნიშნულ ნიშნულზე გაზრდილია მოაჯირების კედლების სისქე, ხოლო ზოგიერთ მონაკვეთში არ არის მოწყობილი მოაჯირები. "C-B" მონაკვეთში სამანქანოში არ არის მოწყობილი კარი.

ღობის კედლის ნაწილი განთავსებულია წითელი ხაზის გარეთ.

ტექ. ხარვეზი: +9.90 ნიშნულზე კარების წინ არ არის მოწყობილი საფეხურები (შესრულებულია ჭრილის ნახაზის მიხედვით)

გ.გეგელაშვილი

ვ.ამისულაშვილი